30 ოკტომბერს (11 ნოემბერს) 1869. № 44. მეოთხე წელიწადი.

**გაზეთის ფასი**

გაზეთისთვის ტფილისში და გარეშე ადგილებში: — გაგზავნილით:
ერთის წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთის ნომრისა გაეგზავნებათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და აკვ. ბ... სახლში, ხანის ქუჩაზე, შაბათობის სახლში. ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“. რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზე. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზე 8 კაპ.

### შინაარსი:

შინაგანი ცნობები.—რუსეთის ამბები.—წერილი რუსეთიდგან.—პოლიტიკა: შრანცია,—ისპანია,—პრუსსია,—ანგლია,—იტალია,—ტელეგრამმები.—სამოსამართლო ქრონიკა.—სხვა და სხვა ამბავი.—ლექსი.—საბიბლიოგრაფიო და კერძოობითი განცხადებები.—სავაჭრო ცნობა.—ბერლინის „ცხოველთ-წალკოტი“. ბიბლიოგრაფიული ნაწილი.—

### შინაგანი ცნობები.

გაზ. „კავკაზში“ სწერენ, რომ, როგორც შევიტყეთ, პურის ფასი ქალაქში და ბევრ სოფლებშიაც თან და თან მატულობსო და ამის მიზეზი უწვიმობა არისო.—

ამ დღეებში ჩვენ ქალაქზე გაიარა აისორების (Халдеи) კათოლიკის ეპისკოპოზმა, რომელიც სპარსეთიდგან მიდის რომში მსოფლიო კრებაზე დასასწრებათ. იმან და ორმა დიაკვანმა სწირეს აქ კათოლიკების ეკკლესიაში; აქაურ კათოლიკებს პირველათ ჰქონდათ შემთხვევა წირვის მოსმენისა ქალდეველების ენაზე, ამბობენ თვითონ ეპისკოპოზი აისორი არისო; განათლება რომში მიუღია და ფრანციზულით და იტალიანურათ კარგა ლაპარაკობსო. დიაკვნებს უსწავლიათ სპარსეთში შრანციის მისსიონერებისაგან.

### რუსეთის ამბები.

გაზ. „Голосъ“ ამბობს: პოლშის სამეფოს სასამართლოებში თითქმის ისეთი ცვლილებაები მოუხდენია მმართებლობას, როგორც რუსეთში 1864 წ. 20 ნოემბრის წესდებაებით. სუყველა საქმეები: ცარცვაზე, ქურდობაზე, მკვლელობაზე და სხვა ამგვარი გადაწყდება ნაფიცი მსაჯულებისაგან: რაც შეეხება სამსახურისა ბეჭედის, სარწმუნოებისა და პოლიტიკურს საქმეებში დანაშაულობას, ისინი ამ სასამართლოებში არ განიხილებიან. ნაფიც მსაჯულებათ მიიწვევიან როგორც ადგილობრივი სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებნი, ისე სამსახურში მყოფნიც; ნაფიცების სია უნდა შეამოწმოს და შეადგინოს უეზდის უფროსებმა და დასამტკიცებლათ კი გუბერნიის მმართველს წარედგინება; რჩევა ნაფიცთა შესდგება ისე, როგორც რუსეთში, იქ სადაც სასამართლო პალატა იქნება და იმის თავმჯდომარეთ და ზედამხედველათ დაინიშნება პალატის ერთი წევრთაგანი.—

აი რას იწერებიან ერთს ნემეცურს გაზეთში იმ დემონსტრაციებზე, რომელიც მოახდინეს დერპტის უნივერსიტეტის სტუდენტებმა: „გამოძიება იმ შეურაცხყოფისა, რომელიც მიაყენეს სტუდენტებმა პროფესსორს ველკერსა, გათავდა; ორი სტუდენტი გამოარიცხეს უნივერსიტეტიდან და სხვა რამდონიმე თანამოზიარეები არეულობისა დაამწყვდიეს კარცეში“.

ვარშავის უნივერსიტეტი (პოლშის სამეფოში) გაიხსნა 15 ოკტომბერს.

კ ო ვ ნ ო. „მოსკოვის უწყებანი“ გვაცნობებენ კოვნოდგან, რომ საერო განათლება კოვნოში ძალიან წარმატებაშიაო და უფრო შესანიშნავიაო, რომ ქმუდელები და ლიტველები თუმცა ყველანი კათოლიკები არიან, მაგრამ ძალიან გულს მოდგინებით სწავლობენ რუსულს საერო შკოლებშიო: ამას საკმაოთ ამტკიცებს ისაო, რომ ბევრი სასოფლო საზოგადოება უფულოთ უთმობენო და კიდეც უშენებენ სახლებს რუსის საერო შკოლებისას. კოვნის გუბერნიამ პირველი მაგალითი აჩვენა ამ საქმეში. ამ გუბერნიაში გლეხებმა საერო შკოლების გამართვისათვის ხუთი ათასი თუმანი შესწირეს ას ოცდა ცამეტი საერო შკოლის გასამართავათ.

კ ი ე ვ ი, 7 ო კ ტ ო მ ბ ე რ ს. ამ ქალაქში აქა-იქ ხოლერა ჩნდება, მაგრამ ჯერ კი არ გაძლიერებულა; ხანდახან მომხდარა კი რომ ერთს სახლში რამდენიმე ავათმყოფი მომკვდარა ხოლერითა.—

### წერილი რუსეთიდგან.

მ ო ს კ ო ვ ი. ჩვენი მხრის რუსთთან კავშირისა და მასზე დამოკიდებულებისა გამო, როგორც სახორციელო, ისე სასულიერო მხრით, ყოველი ქართული დროგამოშვებითი გამოცემა უნდა აქცევდეს ხოლმე ყურადღებას ისეთ მოვლინებაებს ანუ ცვლილებაებს რუსეთში, რომლებიც, მოხსენებული მიზეზებისა გამო, ეხებიან ჩვენ მხარეს და მისს მცხოვრებლების ყოფა-ცხოვრებას;—

### ორიოდე სიტყვა

### ბერლინის „ცხოველთ წალკოტზე“ (vivarium).

ევროპის განათლებულს ცხოვრებას ბევრი ისეთი დიდებული შენობა გაუმართავს, რომ იმისი ნახვით კაცის თვალი როგორ გასძღება და ჩვენ მივარდნილი კუთხის მცხოვრებლებს სიზმრათაც როგორ მოგვეჩვენება ის საკვირველი სანახავები, რაც იქ ერის სიმდიდრეს და იმის სწავლას მოუმზადებია. „მრავალ არიან, ბუნებავ, საკვირველებანი შენიო“, მაგრამ ამ ჟამად ევროპის ერთა ცოდნამ იქამდის მიატანა, რომ შეიტყვეს რა კანონით მოქმედებს ყოველი საკვირველების მომახდინებელი ძალა ბუნებისა და ძალიან მეცნიერი კაცის გონებაც აკვირვებინებს იმას ბევრს იმისთანა საქმესა, რაც კი აცვიფრებს ბუნებაში ამა საკვირველების მნახველსა. დედამიწის ზურგზე მავალი კაცი სხვა და სხვა მხარეებში ჰხედავს ბევრს კაცის თვალის უნახავს ქმნილებას: ცივ ქვეყნებში სხვა ნაირი ცხოველები და მცენარებია, სხვა ნაირი მთა-ბარობაა; ცხელ ქვეყნებში კიდევ სხვა ნაირია; მაგალითათ ცხელს ამერიკის კუთხეში ზოგიერთ მდინარის ახლოს გამხმარი ხეების ტანს მსხვილ ვეზსავით შემოხვევია სამი საჟენის სიგძე გველეშაპი, რომელიც უყარაულებს პაპარაქება სიცხეში წყლის დასალევათ მომსვლელს ირემსა, ან შველსა, და მოვა თუ არა, ზლაზვნით დაეცემა მას, დაკუმშავს, თითქოს ნაზუქსა და გადაჰყლაპავს ხოლმე. ახლა გავიხედოთ ინდოეთისკენ, სადაც უზარმაზარი ხეების ჩრდილში გრილოზე გაზოდვილია უებარი სპილო, რომელიც ორ საჟენიანი დინგით მოსთხრის ხოლმე სასაწნახელე ხეებსა იმ განზრახვით, რომ სულ ერთიანათ ფოთლებისგან გაცალოს; ისმის მრავალ ფერად შეღებილი თუთიყუშების ჭყრიალი, იქ მშვენიერს ბუჩქნარში სტვენს ბულბული და ვინ იცის კიდევ რამდენი რა აკვირვებს კაცის უნახავს და ყურით გაუგონარს ამბებსა: ბუნების სიმრავლგვარეს ენა როგორ მოთვლის! მაგრამ წარმოიდგინე, მკითხველო, რომ კაცს თავის განათლებით იმდენი ცოდნა და ამასთან სიმდიდრეც მოუპოვებია, რომ ერთს მანძილზე აღუშენებია ეს გონების განსაცვიფრებელი ბუნება თავისი სიმრავლგვარითა, ისეთი ნამდვილი ცხოვრებითა, როგორსაც ჰხედავს დედამიწის გარშემომვლელი მგზავრი. ამსახით კაცის სწავლას მთელი ქვეყნის ცხოვრება ერთ ალაგას გაუმართავს. არც სიზმრათ და არც ზღაპრათ არ თქმულა ის სიმრავლგვარე ბუნებისა, რომელიც ამ ჟამად კაცის ხელოვნებას და შეძლებას ბერლინის „ცხოველთ წალკოტში“ გაუკეთებია. ნეტავ შემეძლოს, მკითხველის თვალწინ ჩემის ლარიბის ენით დახატვა იმის მეათასედისა, რა საკვირველებასაც კაცი ხედავს ბერლინის წალკოტში.

ბერლინის ცხოველთ-წალკოტია ერთი დიდი შენობა სიგძე სიგანით შორს გაზიდული. ამ შენობის ერთი კუთხე უჭირავს კლდესა, რომელშიაც გამოქვაბულებია გაკეთებული. კლდე არის აყვანილი სხვა და სხვა ქვეყნებიდგან მოზიდული მრავალნაირი კლდის ნამზვლევებისაგან, რომელნიცა კეც-კეცათ დაწყობილია ერთმანეთზე, ისე როგორც ბუნებაში იპოებიან. აქ კლდეზე გადმოჩქრიალებს წყალი და ჩარბის ძირს ტბაში, სადაც დაცურვენ ათას ნაირი წყლის ფრინველები. ტბაში ამოუყვია თავები ვეება ქვებსა, რომელზედაც ზიან და ფრთებს ისწორებენ გარეული წყლის ფრინველები. კლდეზე ხის ტოტები გაბანდულან ერთმანეთში და ზედ ჯგუფ-ჯგუფათ ზიან ლამაზი ჩიტები სხვა და სხვა გვარისა აქვე კლდის ფულუროებში გაუმართავთ ბუდეები, ზოგიერთებზე კიდეც სხედან და საყვარლათ იცქირებიან. სხვანი გუნდ-გუნდათ დაფრინავენ და ჭყრიალით დაჰხარიან ამ ჩანჩქერსა, თითქოს თავიანთ სამკვიდრო ტყეებში იმყოფებოდნენ. როცა ბინდი დაჰკრავს, ეს კლდე თავისი ჩანჩქერით განათებულია ლამპარებითა, რომელთაც კაცის თვალი არ ხედავს, თითქოს ეს კლდე თავისი სიღრმიდგან ისვრის ბურთ-ბურთათ სინათლესაო. ფრინველების გამაყრუებელი ყვირილი თანდა-თან წყნარდება, ყველანი თავთავის ადგილზე სხდებიან კლდის გარეშემო, ტბის კიდეებზე ღამის გასათევათ.

კლდიდგან ბაწრათ ჩაუყვება მინის დერეფანი, რომელიც შემკულია ხე-ტყეთი და შიგ ერთგან უძრავათ გაზოდვილა გველეშაპი, მეორეგან გველ-ქუხილა, რომლის გესლი ორ მინუტსა ჰკლავს კაცსა და ცხოველსა. ის მოადგება მინაზე და ატარტალებს ორკაპალიაენსა, თითქოს მრისხანებით ეუბნება კაცს, შორს, თორემ, ეს არის მოგკლავო. სხვა პატარა გველები მიდიან ტბებზე სიჭყუმპალოთა; იქვე დარბიან ხვლიკები და სხვა ამათ ნაირი ცხოველები.

კლდის მეორე გვერდით შეხვალ ქვებით გაკეთებულ გუმბათში, სადაც მაყურებლის თვალის წინ დაეფინება მწვანილოვანი მდელო მაღალი ხეებით. ალაგ-ალაგ მშვენიერი ბუჩქნარებია და აქ დაფრინვენ აუარებელი ცხელი ქვეყნის ფრინველები, რომელნიც წითელ-ყვითლათ, თეთრათ, შავათ, ცისფრათ და ვინ იცის რამდენ ნაირათ არიან შემკობილნი; იმათი სტვენა და ყვირილი კაცის ყურს აყრუებს.

რაც გვარი ფრინველი მოიძევა ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში, და ახალ-ჰოლანდიაში, თითქმის ყველას წარმომადგენელნი იპოებიან ამ მშვენიერ მდელოზე. მდელოს გარემოთ ამართულან კლდის კედლები, რომელზედაც გადაბლანდვია ბალახი და მცენარეობა ყოველნაირი, აქა-იქ გაბნეულან ხეები; ფრინველები აქ ისე თავისუფლათ ცხოვრობენ, დახტიან, დაფრინავენ, ჭყივიან, ასე გგონია, ესენი თავის დედა ტყეებში ცხოვრობენო. შეიხედეთ განის თაღებში აქ დაგიხვდებათ ველი და ტყით მოსილი გორაკები, ხნარცვები, სადაც ცხოვრობენ სხვა და სხვა გვარის მხეცები და ნადირები. ერთ ალაგას ცის კამარასავით დასდგმია წმინდა რკინის ძაფით ნაქსოვი ბადე, ძირს ჭაობია, და იქ იმყოფებიან ბაყაყები, თითო ერთი მტკაველი სიგრძე-სიგანისა. მეორე თაღში რომ შეიხედო, აქ ტბაში ამოსულ მაღალ ჭილში წევან ვეება აფრიკის და ამერიკის ხვითქები (კროკოდილონი), რომლითაც ძროხის შეჭმა ასე არაფრათ მიაჩნიათ, როგორც კატას თაგვისა. ხვითქი ხვლიკის გვარია, მაგრამ სიგრძე საჟენი და საჟენზე მეტი აქვს.

ახლა ჩავიდეთ კიბით ძირს მიწაში და იქ დაგვხვდებათ ერთი დერეფანი. თქვენს გარემო მინის თაღებია და თაღებს იქით თითქოს ზღვა დგასო ისეთი განიერი და ღრმა ტბაა. ზევით აიხედავთ, თუ განზე გაიხედ-გამოიხედავთ, ყველგან წყალი გარტყიათ და რომ მინის თაღი არ გიცავდეთ, ერთ მინუტში ეს ვეება ზღვა დაგნთქავთ კიდეცა. თქვენ გაკვირვებული ხართ ზღვის სხვა-და-სხვა ნაირი თევზებითა, რომელნიც დახტიან ამ კაცისაგან გაკეთებულ ზღვაში. მინაში უჭვრეტთ ვეება ზუთხებს და კიდევ იმაზე უფრო დიდს სხვა ზღვის თევზებსა. ერთი სიტყვით თქვენ გრძნობთ, თითქოს მინის დერეფნით იყონ ჩასმული თვით ზღვაში, გარს გახვევიან წყალი და შიგ ათას ნაირ წყლის ცხოველებს ხედავთ. ამაზე უკეთესი სანახავი რაღა იქნება. ამ წალკოტში თქვენ ხედავთ მთელს ბუნებასა.

ეს საკვირველი წალკოტი, რომელიც წარმოგიდგენსთ მთელს ქვეყანას თავის ცხოველებით და მცენარეებით, გააკეთა ბრემმა, იმ მეცნიერმა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა ცხოველების ცხოვრების დაკვირვებაში და დასწერა იმათი ცხოვრება ისეთი ცოდნით, რომ აქამდის ამისთანა არა დაწერილა რა. როდესაც გერმანიის მდიდართა განათლებულთა განიზრახეს ამა წალკოტის აგება, იმათ გამოიღეს ურიცხვი სიმდიდრე, დაიქირავეს საუკეთესო მეჩუქურთმენი, ხუროთ მოძღვრები, ინჟინრები, მოთავეთ ამოირჩიეს მეცნიერი ბრემი და უთხრეს: აი, ურიცხვი სიმდიდრე, აი საუკეთესო მოხელენი, ააგე ისეთი წალკოტიო, რომ თვითონ ბუნების ცოცხალი სურათი შეიქნესო.

უნდა განიხილავდეს და უჩვენებდეს საზოგადოებას მათ ღირსებას და გამოსადეგობას, როგორც საზოგადოთ, ისე განსაკუთრებით ჩვენი მხრისა და მისი მცხოვრებლებისთვის. ამგვარ ცვლილებას ეკუთვნის, სხვათა შორის, რეფორმა შესახებ სასულიერო წოდებისა, რომელიც (რეფორმა) მოხდა რუსეთში ამ მოკლე დროში. ამიტომ არ ვრაცხ ნამეტნავათ და უსარგებლოთ ვსთქვა ამ საგანზე რამდენიმე სიტყვა ამ წერილში.

დიდი ხანია რაც რუსეთში სასულიერო წოდებას არ შეხებია რეფორმის ხელი. აქამდის სამღვდელოება შეადგენდა აქამდის თითქმის განსაკუთრებით კასტას, რომელშიაც შესვლა სხვა წოდების წევრისათვის ძლიერ ძნელი იყო. მღვდლობის ხარისხი გადაეცემოდა გაუწყვეტლად მამიდგან შვილებზე ეკლესიებითურთ და მრევლებითურთ, თითქო მემკვიდრეობითი უფლება აქნდათ მათზე. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: მამას—მღვდელს შეეძლო არა თუ ვაჟისა, არამედ თავის ქალისთვისაც, ესე იგი სიძისთვის, ემზადებინა თავისი ადგილი, თუ ისურვებდა; იმას შეეძლო ჩაესიძებინა ვინმე სხვა მღვდლის შვილი და გადაეცა მისთვის თავისი ადგილი, როგორც ჩვენშიაც (განსაკუთრებით ტფილისის გუბერნიაში) იყო შემოღებული ამ უკანასკნელ დრომდის. რუსეთში სასულიერო წოდების კასტობის ძალა იქამდის მიაღწევდა ხოლმე, რომ ძვირად მოხდებოდა, რომ მღვდლის ვაჟს ერის კაცის ქალზე დაეწერა ჯვარი, თუ არა მღვდლისაზე, და აგრეთვე მღვდლის ქალსაც ძვირად მისცემდნენ ვისმე სხვა წოდების კაცს.

სასულიერო სასწავლებლებსაც ეს კასტური ხასიათი ჰქონდათ რუსეთში. იმათში სწავლობდნენ სხვა წოდების ყმაწვილები თითქმის სასულიერო წოდებისა. უმეტესი ნაწილი მღვდლებისა რუსეთში იყო და არის სემინარიელები; ქალაქებში კი, კარგ შემოსავლიან ეკლესიებში, აკადემიელებიც ბევრნი იპოვებიან. უსწავლელ მღვდლებს, ესე იგი ისეთებს, რომლებსაც სემინარიაში მაინც არ მიეღოთ სწავლა, ძნელათ იპოვნით აქ, თუმცა უწინ კი უმეტესი ნაწილი ესეთები იყვნენ. სემინარიებში კურსის შესრულების შემდეგ მღვდლის შვილები, ზოგიერთი საუკეთესო შაგირდების გარდა, რომელნიც აკადემიებში ან უნივერსიტეტებში შედიოდნენ სწავლის გასაგრძელებლად, მიდიოდნენ მღვდლებათ და დიაკვნებათ. მაგრამ ამ უკანასკნელს დროში ისე გამრავლდნენ ისინი, რომ ძრიელ უძნელდებოდათ ადგილის შოვნა, უმეტესად იმათ, რომლებიც რიგიანათ ვერ ასრულებდნენ სემინარიაში სწავლასა. ამგვარები მიდიოდნენ პირველად დიაკვნებად და პრიჩეტნიკებად და ლოდინობდნენ მინამ ბედი და შემთხვევა არ დაუცლიდნენ მღვდლის ადგილსა; ამას კიდევ არაფრად აგდებდნენ ახალგაზდა მღვდლის შვილები და არ ტოვებდნენ თავიანთ წოდებას, რადგანაც იმედი ჰქონდათ, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან იშოვნიდნენ მღვდლობას, რომელიც შეადგენდა იმათ სალტოლველ იდეალს, თუმცა საზოგადოთ რომ ვსთქვათ, მღვდლების მდგომარეობა რუსეთში, (განსაკუთრებით სოფლელი მღვდლების)—სახარბო არ იყო და არც ეხლა არის ჯერ-ჯერობით.

ამ უკანასკნელ დროში მოხდა რუსეთში რეფორმა შესახებ სასულიერო წოდებისა, რომელზედაც დიდი ხანია რაც ლაპარაკი და რჩევა დაიწყეს. ამ რეფორმამ გააუქმა სასულიერო წოდების გაცალკევებული, კასტიური მდგომარეობა და მისი განსაკუთრებითი პრივილეგიები. ახალი წესდების ძალით როგორც სასულიერო სასწავლებლებში (აკადემიებში, სემინარიებში და მდაბალ სასულიერო სასწავლებლებში) შეუძლიანთ ყველა წოდების ყმაწვილებს შესვლა, ისე სამღვდელო და საბერო ხარისხის მიღება შეუძლია ყველას, ვინც კი ისურვებს და ღირსი იქმნება განათლებითა და ზნეობით. მღვდლობა შეუძლია სემინარიელებთაგან მიიღონ მხოლოდ იმათ, ვინც პირველ ხარისხით დაასრულებენ კურსსა, და მხოლოდ მაშინ, როცა იმათ შაუსრულდებათ ოცდა ათი წელიწადი; ამ დრომდის იმათ შეუძლიანთ ემსახურონ მეფსალმუნეთ (პრიჩეტნიკად); ეს დანიშნული რიცხვი წლოვანობისა შაიძლება შეუმოკლდეს იმათ მხოლოდ, ვინც მდაბალ შკოლებში ემსახურებიან მასწავლებლებად სამს წელიწადს მაინც შემდგომ სემინარიის შესრულებისა. რაც შეეხება მეორე და მესამე ხარისხით კურს გათავებულ შაგირდებს, ისინი სრულებით მოკლებული არიან მღვდლობის მიღებას, უკეთუ დიდი საჭიროება არ მოითხოვს; პრიჩეტნიკებად, რასაკვირველია, შეუძლიათ იყვნენ, თუ საუკეთესო სემინარიელები არ შეეცილებიან; უკანასკნელ შემთხვევაში კი, რასაკვირველია, უკეთესს მისცემენ ადგილსა.

ამგვარმა ცვლილებამ ძრიელ შეაძრწუნა რუსეთში მღვდლები და მათი შვილები; უკანასკნელებმა წინათვე იგრძნეს, რომ ცუდათ მოუვიდოდათ საქმე, თუ ეხლავ არ უშველიდნენ თავიანთ თავს. ამიტომ მრავალი მათგანი ანებებდენ თურმე თავს სასულიერო სასწავლებლებს და ცდილობდენ რომ უფრო საიმედო გზა მოენახათ.—ამ გვარათ მოხსენებული რეფორმა შესახებ სასულიერო წოდებისა, თუმცა ბევრს არ მოსწონს თურმე, როგორც ზოგიერთ გაზეთებში სწერენ, მაგრამ, ვისაც მიხვდომა და განსჭვრეტა არ აკლია და რიგიანათ ასწონის ამ რეფორმას, როგორც აწმყო, ისე მომავალი შედეგებით, ის რასაკვირველია ადვილათ მიხვდება, რომ მომხდარი ცვლილება დიდათ სასარგებლოა როგორც საზოგადოებისათვის, ისე თვითონ ეკკლესიისათვისაც; ერთი ეს რომ ამან მოსპო რუსეთში, როგორცა ვსთქვით, სასულიერო წოდების კასტიური მდგომარეობა, ყველა ამისი უმეტეს ნაწილად ცუდი შედეგებით, გაათანასწორა და, ასე ვსთქვათ, გაართო იგი სხვა წოდებაებს. მეორე ის რომ რუსეთში აქამდინ ბევრნი მღვდლობის ხარისხს იმიტომ კი არა კისრულობდნენ, რომ სურვილი ჰქონოდათ, როგორც რიგია, არამედ ამიტომ რომ გარემოება იძულებულ ჰყოფდა იმათ მიეღოთ ეს ხარისხი, რადგანაც სხვა საქმისათვის მომზადებული არ იყვნენ.—ეს, რასაკვირველია, ძრიელ მავნებელი უნდა ყოფილიყო როგორც ზნეობითი მხრით, ისე ეკკლესიისათვისაც, რომლის მოსამსახურე და სამაგალითო წევრები უნდა იყვნენ მღვდლები და ბერები. ზოგიერთს მათგანს ხშირათ ისე არ მიყავდათ საქმე, როგორც მათ წოდებას და ხარისხს ეკადრებოდა. . . . . . . . . . . . . . . . . . .

აწ კი მღვდლობის ხარისხსა და ვალდებულებას იკისრებენ უფრო ისეთი პირები, რომელთაც ექნებათ სურვილი მღვდლობისა და ეკკლესიის მოსამსახურედ ყოფნობისა; ისინი უეჭველია უფრო ერთგულათაც მოკიდებენ ხელს თავიანთ საქმეს, რადგანაც თვითონვე ამოირჩევენ იმას. ერთი სიტყვით უნდა ვსთქვათ, რომ სხვა მრავალ გვარ რეფორმებთ შორის, რომლებიც მოხდნენ რუსეთის ეხლანდელი მეფის ხელში, ეს სასულიერო რეფორმაც დაიჭერს დროზე ისტორიაში შესაფერს საქებ ადგილსა.

ეხლა რადგანაც ჩვენ ეკკლესიას და სასულიერო წოდებას აქვს მყოფი კავშირი და

---

აი, რას სწერს ბრემი თავის წალკოტის მაჩვენებელში: „ეს წალკოტი განა იმათთვის მარტო კი არ არის აგებული, რომელნიც მხოლოდ კარგი სანახავით სტკბებიან, არამედ უფრო მეცნიერებისთვის არის გამართული, რომელთაც ჰსურთ დაწვრილებით გაეცნონ ბუნებას და მეცნიერება წინ წასწიონ."

რაც უნდა ბევრი უბრალო მაყურებელი შედიოდეს ამ წალკოტში მხოლოდ გულისა და თვალის გასართობლათ, მაინც იმ შორის ათი და ასი იმისთანაც შედიან, რომელთაც ეს წალკოტი აძლევს გამოულეველ მასალას სამეცნიერო გამოსაძიებლათ, პოეტური გრძნობის აღსაძრელათ, დაკვირვებისათვის და ფილოსოფიურად განსჯისათვის. ახლანდელი ახალგაზრდობა ჯერ რომ მხოლოდ ნახატებით სწავლობდა და იმისთანა გენიოსი მასწავლებელის გამოძიებით, როგორც თვითონ ბრემია, ისეთ ნაირათ წინ წასწია ყოველ გვარი სწავლა, რომ იმისთვის აღარაფრათ გახდა გამოსადეგი ძველებური წესი სწავლისა, და ბევრში თვითონ მეცნიერებაც თან-დათან გადააკეთა; მაშ რაღა იქნება აწ, როდესაც ახალგაზდობა ამ მშვენიერის წალკოტით იწყებს ჭკუა-გონების გამდიდრებასა, როდესაც ახალგაზდა მეცნიერის წინ გადმოიშლება მთელი ბუნება თავისი სიმრავალგვარით, როდესაც მეცნიერი თავის აზრებს დააფუძნებს ამ ცოცხალ ბუნების წიგნზე და მთელი დღე იმის წინ გადმოშლილი იქნება ამ წიგნის ფურცლები.

რაღა კითხვა უნდა, რომ მეცნიერების წარმატებისათვის დაუფასებელია ბერლინის ცხოველთ წალკოტი.—

გ. წერეთელი.

---

## „რუსული ენისა და სიტყვიერების პროგრამმა კავკასიის სამასწავლო განყოფილების გიმნაზიებისა და პროგიმნაზიებისათვის". შედგენილი უ. უ. ჟელიხოვსკის, მოდზალევსკის და ნიკოლიჩისაგან. თბილისი 1868 წ.

(*Программа преподаванія Русскаго языка и Словесности въ гимназіяхъ и прогимназіяхъ Кавк. учебнаго округа*. Составили В. И. Желиховскій, Л. Н. Модзалевскій и А. И. Николичъ. Тифлисъ 1868 г.)

არც ერთს საგანს არა აქვს ახლა ჩვენთვის ჩვენს სასწავლებლებში ისეთი მნიშვნელობა, როგორც რუსული ენის სწავლასა. ჩვენი ახალგაზდობა სწავლობს სუყველაფერ საგნებს რუსულს ენაზედ რუსულს შკოლებში, გიმნაზიებში და უნივერსიტეტებში, და თუ ის ენა, რომელზედაც ასწავლიან, არ იცის ხეირიანათ ყმაწვილმა, მაშინ, რასაკვირველია, ის ვერ ისწავლის, როგორც რიგია, ვერც სხვა საგნებსა. ამიტომაც ძლიერ საჭიროებელია, რომ რუსული ენის სწავლა უფრო თადარიგიანი იყოს ჩვენს სასწავლებლებში. სრულებით არ არის გასაკვირველი, რომ ახლანდელ სასწავლებლებში გამოზდილმა ქართველებმა არ იციან რიგიანათ რუსული: ის მეთოდი, რომლითაც ასწავლიდნენ და ზოგან ახლაც ასწავლიან საზოგადოთ ენებს ჩვენს სასწავლებლებში, თავის დღეში ვერ მოიტანდა და ვერც მოიტანს რიგიანს ნაყოფსა და ვერ შეასწავლის ვერც ერთს ენას, მაშა სადამე ვერც რუსულსა; ამ უკანასკნელი მიზეზიდგან წარმოსდგება არა მცირედი დაბრკოლება სხვა საგნების სწავლაშიაც.—

უეჭველია, რომ რუსული ენის სწავლა ჩვენში სულ სხვა რიგათ უნდა, ვიდრე რუსეთის სხვა სასწავლებლებში; უმეტესი ნაწილი შუაგული რუსეთის გიმნაზიების შაგირდებისა თვით რუსები არიან და იმათ რასაკვირველია, თავის სამშობლო ენა იციან და ამ ენაზე წაკითხული საგნები კარგათ ესმისთ; ჩვენს სასწავლებლებში კი უმეტესი ნაწილი არიან ქართველები, ან სომხები, რომლებმაც რუსული ენა უნდა ისწავლონ, რომ გაიგონ ამ ენაზე წაკითხული სხვა საგნები.

ძველი მეთოდის უვარგისობა რუსული ენის სწავლაში ჩვენი სასწავლებლებისთვის იგრძნო ამ უკანასკნელს დროში აქაურმა სამასწავლო მთავრობამ და შარშან პედაგოგიურს კრებაზე თბილისში, იმის ხელმძღვანელობით, ზემო მოყვანილმა პირებმა შეადგინეს ახალი პროგრამმა რუსული ენისა და გამოსცეს ჩვენი სასწავლებლების სახელმძღვანელოთ.—

მოგვყავს აქ რამდენიმე სიტყვა ჟურნალი „Учитель"იდგან (№ 17) ამ ახალს პროგრამმაზე:

„პროგრამმის შემდგენლების შეხედულობა რუსული ენის სწავლაზე სრულებით საფუძვლიანი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა წარმოვიდგენთ, რომ ამ პროგრამმით უნდა ისწავლონ მოწაფეებმა **ს ა მ შ ო ბ ლ ო ე ნ ა**. მაგრამ რადგანაც იქაური მოწაფეების უმეტესი ნაწილისთვის რუსული ენა არ არის სამშობლო ენა და იმათ უნდა ისწავლონ ის, ამის გამო ეს საქმე სულ სხვა ნაირ სახეს იჭერს. ცხადია, რომ რუსული ენის სწავლება იქ უნდა დაემორჩილოს იმ კანონებს, რომელსაც ემორჩილება საზოგადოთ ყოველი უცხო ენის სწავლა. არც ერთი მცოდნე პედაგოგი არ იტყვის, რომ უცხო ენის სწავლა იმავე უცხო ენაზე საფუძვლიანი საქმე იყოს. უ. უ. ჟელიხოვსკი, მოდზალევსკი და ნიკოლიჩი ამბობენ, რომ „აქაურს მდაბალს კლასებში შემოსულს მოწაფეებს არ ესმისთ რუსული ლაპარაკი, რომ ამ მოწაფეებმა ჯერ უნდა დაისწავლონ იმდონი, რამდონიც ახალ შემოსულ რუსის ყმაწვილებმა იციან, ე. ი. რუსული ლაპარაკი"; მაგრამ ისინი არაფერს არ ამბობენ იმაზე, რომ რუსული ენის მასწავლებელმა უსათუოთ უნდა იცოდეს იქაურების ენა და იმათ სამშობლო ენაზე უნდა ასწავლოს რუსული ენა. რუსულ ენას რომ ამ ნაირათ—მოწაფეების სამშობლო ენაზე უნდა ასწავლიდნენ და არა რუსულს ენაზედვე, ამაზე პროგრამმის შემდგენლები უთუოთ უნდა დაგვეთანხმონ; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია ჩავთვალოთ ისინი ამ საქმის მცოდნე კაცებათ.—რასაკვირველია შეიძლება, რომ რუსული ენა დაისწავლონ იქაურებმა იმავე რუსული ენის შემწეობით, ისე როგორც უცხო ქვეყნელი გუვერნიორები ასწავლიან ჩვენი ბატონების განებივრებულს ვაჟებს ფრანცუზულსა და ნემეცურს ენებს, მაგრამ, ვკითხავთ პროგრამმის ავტორებს, ეთანხმება ამნაირათ ენის სწავლა პედაგოგიის კანონებსა? საფუძვლიანია ამ ნაირი ენის სწავლა, თუ არა?"

„იმისთვის რომ რუსის ყმაწვილებს არ დაეკარგოთ დრო მიშინ, როცა იქაურებს რუსულ ენას ასწავლიან, აი რა ნაირათ შეიძლებოდა საქმის გაწყობა: პროგრამმით ორი წელიწადი დადებულია მოსამზადებელი, პირველი კლასისთვის. უეჭველად ამ კლასის დანიშნულება ის არის, რომ მოამზადოს ვინც რუსული არ იცის და იმდონათ ასწავლოს ეს ენა, რომ შემდეგ კლასებში იმათ ისე, როგორც რუსის ყმაწვილებსაც, არ გაუჭირდესთ საგნების სწავლა; მაშა სადამე აქედანა სჩანს, რომ რუსის ყმაწვილები მოსამზადებელ კლასში სულ ტყუილათ არიან; ამ კლასში რუსულ ენას უნდა ასწავლიდნენ მარტო იქაურ ყმაწვილებს და ისიც ისე, როგორც სხვა უცხო ენას ასწავლიან ხოლმე; ამისთვის, რასაკვირველია, აუცილებლათ საჭიროა ისეთი რუსული ენის მასწავლებელი, რომელმანც კარგა იცოდეს აგრეთვე ადგილობრივი ენაც; რაკი რომ აქ ისწავლიდნენ მოწაფეები რუსულათ ლაპარაკსა და რიგიანათ თავის აზრის გამოთქმას, მერე შესაძლებელი იქნება მათთვის საფუძვლიანათ რუსული ენისა და სიტყვიერების სწავლა ისე, როგორც სამშობლო ენისა.—რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიაც ადგილობრივი ყმაწვილები იქნებიან მაინც უფრო ცუდს მდგომარეობაში, ვიდრე რუსის ყმაწვილები; განებს გახსნა და სწავლა გვერდი იმათ უფრო გაუჭირდებათ, მაგრამ ამის შველა, გვგონია, ძნელათ შესაძლებელია".

დამოკიდებულება რუსეთის ეკკლესიასთან, ამიტომ უსარგებლო არ იქნება, რომ დაუმატოთ აქ ზევით ნათქვამს ორიოდე სიტყვა შესახებ ჩვენი სასულიერო წოდებისა.

Იმისთვის რომ ამ რეფორმამ მოგვიტანოს კეთილი ნაყოფი და შესაძლო იყოს იმისაგან სარგებლობა, სამღვდელოებამ უნდა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება თავიანთ შვილების აღზრდასა. Ეს გარემოება უნდა ჰქონდეთ სახეში როგორც უფრო მახლობელ მთავრებს, ისე მღვდლებსაც. Პირველების ვალია ეცადონ, რომ უჩვენონ როგორმე მომავალ სამღვდელო ყმაწვილებს განათლების გზა, უკანასკნელებმა, ესე იგი მღვდლებმა, უნდა მოიხმარონ ყოველი ღონის ძიება, რომ გამოზარდონ და გაამზადონ თავიანთი შვილები, როგორც რიგია, თუ არ უნდათ, რომ ისინი უადგილოთ და მაშასადამე უსაზრდოოთ დარჩნენ მომავალში. Ამ შემთხვევაში Ტბილისის გუბერნიის მღვდლები და მათი შვილები უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე Ქუთაისის გუბერნიის სამღვდელოება; ეს ამიტომ რომ Ტბილისში არის სასულიერო სემინარია, სადაც ამ გუბერნიის მღვდლებს შაუძლიათ თავიანთი შვილების აღზრდა; Ქუთაისის გუბერნიის მღვდლებმა კი რა უნდა ქნან?— Მე დარწმუნებული ვარ, რომ იქაურ მღვდლებს არც სურვილი აკლიათ შესახებ თავიანთი შვილების აღზრდისა და არც საშვალებას დაიშურავდნენ, რაც კი აბადიათ, უკეთუ ჰქონდეთ სემინარია თავიანთ დასახმარად. Ტბილისის სემინარიაში შვილების გაგზავნა და აღზრდა კი, უეჭველია, ძნელია და ძრიელ ძვირათაც დაუჯდებათ იმათ. Ერთი ეს რომ Იმერეთიდგან Ტბილისში ყმაწვილების გაგზავნა და აღზრდა თავიანთი ხარჯით არა თუ ყველა მღვდლებს, არამედ ასიდგან ერთსაც არ შეუძლია სიღარიბისა გამო. Მეორე, იმათ ძრიელ აშინებთ ის გარემოებაც, რომ Ტბილისის ჰავას ძრიელ ძნელად იტანენ იმერელი ყმაწვილები.

Ქუთაისში რომ ჰქონდეთ სემინარია იქაურ მღვდლებს, ისინი უეჭველია ისე გულმოდგინეთ ეცდებოდნენ თავიანთი შვილების მასში აღზრდას, როგორც ეხლა იქაურს უეზდის სასულიერო სასწავლებელში აღზრდას ცდილობენ. როგორ დიდი ნაკლულევანება არ არის, რომ მთელს ისეთ გუბერნიაში, როგორც ეხლანდელი Ქუთაისის გუბერნია, სადაც ექამომდე ოთხი ეპარხია იყო, რომლებიც ეხლა ერთს შეადგენენ, ერთი სემინარია არ არის, მაშინ როდესაც რუსეთის ზოგიერთს გუბერნიებში ორ ორი სემინარია არის! Მიზეზი ამისა, რასაკვირველია, ადგილობრივი ეკკლესიების სიღარიბე არის.—Უკეთუ რაიმე გზით კი შესაძლო არის ამ ნაკლულევანების მოსპობა, დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ ეხლანდელი ადგილობრივი ყოვლადსამღვდელო ყოველ ღონისძიებას იხმარს ამისთვის. ჩვენ სხვას ვერაფერს ვერ ვიტყვით ამისდა შესახებ, თვინიერ მისა, რომ, უკეთუ როგორმე შესაძლო იქმნება სადგომის დაჭერა და მასწავლებლების დაკმაყოფილება მოხერხდება, მოსწავლეების შენახვა შეიძლება სრულიად მშობლებს აკისროს კაცმა, ესე იგი, შეიძლება ჯერ-ჯერობით, სანამ საკმაო საშვალება არ იქმნება, საეკკლესიო ხარჯზე არავინ არ აღიზარდოს. Ქუთაისში შვილების აღზრდა ძვირათ არ დაუჯდებათ იქაურ მღვდლებს. Ეს ამიტომ რომ, თუმც იგინი ფულით მართალია ღარიბნი არიან, მაგრამ საზრდო, ესე იგი პური და ღვინო თითქმის ყველას ეშოებათ; მაშ იმათ ადვილათ შეუძლიათ უზიდონ თავიანთ შვილებს საზრდო სახლიდგან. Ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ Ქუთაისში მრავალ იმათგანს უდგიან ფიცრული სახლები, სადაც შეუძლიათ დააყენონ თავიანთი შვილები. Ვისაც არა აქვს, იმისთვისაც არ იქმნება ძნელი ყმაწვილებისათვის თითქმის უფულოთ ბინის შოვნა იქაურ მცხოვრებლებთან, როგორც ეხლა ცხოვრებენ უმეტესი ნაწილი იმ ყმაწვილებთაგანი, რომლებიც Ქუთაისის სასულიერო უეზდის სასწავლებელში სწავლულობენ და რომლებიც რიცხვით ხუთასამდინ არიან.— სემინარიისათვის ეს რიცხვი ბევრიც არის.—მაგრამ ყველას კი, რასაკვირველია, ემჯობინება, თუ იქაური სამღვდელოება ისე გონიერათ მოიქცევა, რომ საზოგადოს ძალით ააშენებს საერთო სადგომს ყველა ყმაწვილებისათვის და ერთათ აცხოვრებს იმათ; აქ თვითეულ მამას შეეძლება უზიდოს თავის შვილს ხარჯი. Ამ შემთხვევაში რასაკვირველია ბევრათ უფრო ცოტა ხარჯი მოუვათ მამებს, რადგანაც აქ იმათ მარტო თავისი შვილები ეყოლებათ სარჩენი და არა მათი მასპინძლები, როგორც ეხლა მოხდება ეს ხშირათ ხოლმე. რადგანაც ყველა ყმაწვილები ერთს სადგომში იქმნებიან საცხოვრებლად, უეჭველია, შეშაც ბევრათ უფრო ცოტა მოუნდებათ იმათ და სანთელიც. Ამას გარდა მზარეულის დაჭერაც ძრიელ ადვილათ შეუძლიათ მშობლებს საზოგადო ხარჯით, რომ მათმა შვილებმა შეშისა და წყლის ზიდვაში და საზრდოს მომზადებაში ბევრი დრო არ დაკარგონ და სწავლას არ მოსცდენ. Ყველა ამაებს რომ ისიც დაუმატოთ, რომ შაგირდებს, რაკი ერთათ იდგომილებიან, ბევრათ უფრო ადვილათ შეეძლებათ ერთიერთმანერთისაგან სწავლის შეძენა, მაშინ კიდე უფრო ცხადათ დავინახავთ ამ გვარი საქმის დაუფასებლობას. რასაკვირველია, ისეთი ღარიბები და ობლები ბევრი აღმოჩნდებიან, რომლებსაც არც ამ გვარათ შეეძლებათ თავის რჩენა და აღზრდა Ქუთაისში, მაგრამ რა გაეწყობა?—სულ არაობას ის სჯობია, რომ ვისაც შეუძლია და საშუალება აქვს, იმას მაინც ჰქონდეს გახსნილი გზა განათლების მისაღებად. Ის უფრო ძნელი არ არის, რომ ეხლა ყველანი გაუნათლებელი რჩებიან სემინარიის უქონლობითა? Თუ კი ადგილობრივი სამღვდელოება შეიძლებს და გამოაჩენს იმდენ კეთილ-მოქმედებას და გულ-შემტკივნეულობას, რომ მისცემს ძრიელ ღარიბებს და უპატრონო თავისი მოძმეების ობლებს საზოგადო შემწეობით საშუალებას განათლების მისაღებათ, ეს ხომ კიდევ უფრო დიდი სიკეთე იქნება.

Ვისაც Ქუთაისის მდაბალი სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეების ბეჯითობა, სიმარჯვე, სიცოცხლე და სწავლის მოყვარეობა უნახავს ანუ გაუგონია მაინც, იმას ადვილათ შეუძლია წარმოიდგინოს რა სასარგებლო იქნება Ქუთაისში სემინარია. Იქ შეიკრიბებიან ისეთი ყმაწვილები, რომლებიც პატარობიდგანვე შეჩვეულნი არიან ჯაფას და ბეჯითობას მამების ხელში და რომლებიც, როცა პირველ კლასში შემოდიან, თითქმის ისე გაბეჯითებული არიან საეკკლესიო წიგნების კითხვაში, რომ ბევრს მეტი სწავლება არც კი უნდათ იმათში.—Ეს გარემოება ძრიელ ეხმარება იქაურ ყმაწვილებს რუსულის და სხვა საგნების შეთვისებაშიაც. რაც იმათ სიბეჯითეს და მეცადინეობას შეეხება, ამაზე ლაპარაკი აქ ნამეტანი იქმნება, მისთვის უფრო, რომ „Დროების“ მკითხველები ალბათ გაიცნობდნენ იმათ იმ მართალი კორრესპონდენციიდგან, რომელიც იმათზე იყო ამას წინეთ ერთს ამ გაზეთის ნომერში დაბეჭდილი.

საზოგადოთ რომ ვსთქვათ, სემინარია ძლიერ საყურადღებოა ჩვენის მხრით; . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ბეჯითობით და სწავლის მოყვარეობითაც იმისი მოსწავლეები, უეჭველია, არ დაუვარდებიან სხვა სასწავლებლების მოსწავლეებს. Პირველების მნიშვნელობა ჩვენი მხრისათვის მაშინ კიდევ უფრო დიდათ დაფასდება, თუ მოვიგონებთ იმათ დანიშნულებას: ისინი არიან მომავალი მწყემსები ხალხისა; მაშასადამე იმათ, როგორც უფრო დაახლოებულებს ხალხთან და მისს მოძღვრებს, შეუძლიათ უფრო რწმუნება და დანდობილება ჰქონდეთ ხალხიდგან და უფრო დიდი განვლენა და ზედ მოქმედება მისს გონებითს და ზნეობითს მდგომარეობაზე . . . Აი რისთვის უფრო სასურველი უნდა იყოს ჩვენ ყველასთვის, რომ Ქუთაისის გუბერნიაში მალე ვნახოთ სემინარია.

გ. წყალტუბელი.

1869 წ. 10 Ოკტომბერს.

# ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ.

## ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐ.

Პ ა რ ი ჟ ი (9) 21 ო კ ტ ო მ ბ ე რ ს. როგორც ზოგიერთი გაზეთები გვარწმუნებენ, ამ ცოტა ხანში გამოვა „Ოფიციალურს გაზეთში“ იმპერატორი Ნაპოლეონის წიგნი ახლანდელი საქმეების მდგომარეობაზე.

— Ბირჟაზე კურსებმა პატა აიწიეს იმ ხმის გამო, რომ Კანონმდებელი Კორპუსი ნოემბრის გასულს კი არა, პირველ რიცხვებში შეიყრებაო.

Პ ა რ ი ჟ ი, 13 (25) ო კ ტ ო მ ბ ე რ ს.—Პოლიციის პრეფექტმა გამოაცხადა, რომ რადგან ბევრი ცდილობსო ოცდა ექვს ოკტომბერს მოახდინოს ქუჩებზე ხალხის ყრილობა მთავრობის საწინააღმდეგოთ, ამისათვის სატახტო ქალაქის მცხოვრებლებსა წინათვე აცნობებს მთავრობა, რომ წესიერობის დაურღვევლობისათვის იმან სასტიკი განკარგულება მიიღოვ და ამისგამო სთხოვს კეთილ გონიერ მოქალაქეებსა, ისეთი არა მოახდინონ რა, რომ შემდეგ მძიმეთ დაისაჯონ კანონისა მებრ, რომელიცა დაიდვა 1848 წელს, 7 ივნის.

— Გაზეთებში იწერებიან, რომ Პარიჟის მაღაზიების პრიკასჩიკები განდგომილან და აღარ აპირებენ დუქნებში ჯდომას, თუ აღები საღამოს რვა საათიდან არ დაკეტავენ ხოლმე დუქნებს და არ გაათავისუფლებენ იმათ ამ დროდან საქმისაგან. Მთელს Პარიჟში 12 ათასი მაღაზიების პრიკასჩიკები არიან და ამ რიცხვიდან 9 ათასზე მეტი გამოსცლიან მაღაზიების პატრონებს. Იმათ ყოველი მხრიდან მოსდისთ შემწეობა, რომ გამაგრდენ და არ დაუთმონ ამ საქმეში თავიანთ აღებსა. Როგორც სწერენ, პრიკასჩიკებს ჰსურსთ ასსოციაციებით ვაჭრობის გამართვა და კიდევაც გაუხსნიათ თავიანთი მაღაზიები.

—Მარცხენი მხრის (ოპოზიციის) დეპუტატებმა გამოსცეს Პარიჟში შემდეგი მანიფესტი: „Ჩვენ გვეკითხებიან, მივალთ, თუ არა პალატაში 26 ნოემბერს? Არა; ჩვენ არ ვიზამთ ამას, და აი რატომ: პალატაში რომ წავიდეთ, უთუოთ გამოვიწვევთ მანიფესტაციას, რომელიც, ვერავინ ვერ იტყვის წინეთ, რითი გათავდება ახლანდელ გარემოებაში. Ჩვენ ვერ ვეთამაშებით ახალგაზდა თავისუფლობის სვესა. Ჩვენის მხრით არ იქნება კეთილ-გონიერება, რომ არეულობის დამშვიდებით მივსცეთ მმართებლობას ერის თვალში ახალი ძალა, განსაკუთრებით ახლა ამ მშვიდობიანი რევოლუციის დასაწყისში, რომლის დასასრული ჩვენთვის ნათელია. Დემოკრატიამ ჯერ მხოლოდ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მმართებლობა თვითონვე ჰთელავს ფეხ-ქვეშ თავის მოცემულს კონსტიტუციას. Ჩვენ გადავსწყვიტეთ მოუცადოთ Კანონ-მდებელი Კორპუსის გახსნასა იმ აზრით, რომ მაშინ მოვთხოვეთ მმართებლობას ანგარიში იმ შეურაცხყოფაზე, რომელიც მიაყენა იმან ხალხსა; მაშინვე მოვიყვანთ უკანასკნელი სამი თვის შემთხვევაებს და უჩვენებთ მმართებლობას, რომ, თუმცა ის იჭერს სახეს, რომ ვაქცევ ყურადღებას საზოგადო უკმაყოფილებასაო, მაგრამ ნამდვილი კი ასე მოქმედობდა და ლაპარაკობდა, როგორც დამოუკიდებელი თვითმპყრობელი. Ერის უფლებაზე და საერო ამორჩევაზე დაფუძნებულები, ჩვენ წარვადგენთ მაშინ დემოკრატულ და ლიბერალურ მოთხოვნილებათა, რომლების დროშა ჩაგვაბარა ჩვენ თვით ერმა!“—

Პ ა რ ი ჟ ი, 22 ო კ ტ ო მ ბ ე რ ს. ძალიან გულ აღელვებით ელიან Პარიჟელები 26 ოკტომბრის დადგომას. Გაზეთი „Partie“-ის სიტყვით, იმპერატორი 25 ოკტომბერს მოვა Პარიჟში და მეორე დღეს საღამომდის დარჩება; მთავრობა მოემზადა: რა არეულობაც უნდა მოხდესო, ყველა მძლავრათ უნდა მოვსპოთო. Ეს ამტკიცებს, რომ მთავრობა არ არისო გულ დანდობილი ერზე და თუმცა გაზეთები ყველა ერთის მხრით ურჩევენ, რომ არავითარი უწესოება არ მოხდეს, მაგრამ ვინ იცის, გაუგონებენ თუ არა. Გაზეთების სიტყვით, ბირჟაზე ხმა გავარდაო, თუ ოცდა ექვსმა ოკტომბერმა მშვიდობიანათ ჩაიარა, მაშინ Ლუდ. Ნაპოლეონი რვა ნოემბერს მოუწოდებსო ყრილობისათვის Კანონის-მდებელს კრებასა. Აი, ეს იქნებაო ძალიან რიგიანი მთავრობის განკარგულება, დაცინვით უმატებს გაზეთი „Liberte“

## ᲘᲡᲞᲐᲜᲘᲐ.

Ოკტომბრის 16-ს მმართებლობის ჯარმა აიღო ქ. Ვალენსია. Ოთხი დღის ერთმანეთში მოლაპარაკებამ უქმათ ჩაიარა; 16 ოკტ. კიდევ გაიმართა ომი და რამდენიმე საათის შემდეგ მოჯანღეებმა დასდვეს თოფ-იარაღი. Ეს ქალაქი ძალიან გამაგრებული იყო 8 ან 10 ათასი კაცით და რადგანაც ეს აიღეს, ახლა რესპუბლიკელების საქმე სრულებით წახდა; Ბარსელონიისა და Სარრაგოსსას რესპუბლიკელების ცდამაც ჰუქმათ ჩაიარა. „Ასეთი უბედური ბოლო რესპუბლიკელების საქმისა გვიმტკიცებსო, ამბობს გაზ. Temps, იმათი ბელადების უთანხმობით ქცევას და იქაური აჯანლების საერთო ხასიათსა. Მმართებლობამ ყველა მხრიდგან მიაყენა Ვალენსიას თავისი ჯარი და ინსურგენტებმა კი ვერსად ვერ გააჩერეს ის გზაზე, როდესაც ეს ძალიან ადვილად შეძლებული იყო ყოველთვის. Ახლა არავინ იცის—რას იზმენ Სერრანო, Პრიმი, და იმათი ამხანაგები, რომლებმაც ასე კარგა გაიმარჯვეს რესპუბლიკელებზე. Კორტესებმა ამათ მიანდვეს დიქტატორობა. Თავის უფლებით იმათ ისე ისარგებლეს, რომ ყველა ქალაქებში ჯარი ჩააყენეს; გარდა ამისა მოსპეს მმართებლობის წინააღმდეგი გაზეთები, რესპუბლიკელები ციხეში ჩასვეს, თუმცა იმათ არაფერში ბრალი არა ჰქონდათ, და ამ ცოტა ხანში დაწესებული კონსტიტუციის გარანტიები ყველა მოშალეს. Მმართებლობამ დაარწმუნა კი ხალხის წარმომადგენლები—დეპუტატები, რომ რა წამს სიმშვიდე და რიგიანობა ჩამოვარდება, მაშინვე ჩვენს ახლა Კორტესებისაგან მოცემულს უაღრესს უფლებაებს დავსდებთ და კონსტიტუციას ისევ სრულებით აავდგენთო.

— Მ ა დ რ ი დ ი, ო კ ტ ო მ ბ რ ი ს 21—ს. Ოფიციალური გაზეთების სიტყვით, მთელს Ისპანიაში ახლა მშვიდობიანობაა.

—Რადგანც მმართებლობას ჰსურს მალე დასვას Ისპანიის ტახტზე ხელმწიფე და რადგანაც ჯერ-ჯერობით სულობით ვერ მონახეს ისეთი პირი, რომელსაც უნდოდეს და ვარგოდეს მეფობა, ამიტომ ახლა კიდევ დაიწყეს ლაპარაკი Სერრანოს, ან Პრიმის კანდიდატობაზე. Ამბობენ, ჯარს ნამდვილათ ჰსურს Პრიმის იმპერატორათ ან კოროლათ დასმაო.

## ᲞᲠᲣᲡᲡᲘᲐ.

Ბ ე რ ლ ი ნ ი, 21 ო კ ტ ო მ ბ ე რ ს. Ვირხოვმა და პროგრესსიულმა პარტიამ, ბიუჯეტზე ბაასის გამო, შეიტანეს პალატაში შემდეგი წინადადებანი: მივიღებთ რა ყურადღებაში: 1) რომ ჩვენი ფინანსები გაკეთდებიან მხოლოთ მაშინ, როცა სახელმწიფო შეამოკლებთ იმათ; 2) რომ ის შემოკლება ყველაზე უფრო შესაძლებელია ჯარის ბიუჯეტში; 3) რომ სახელმწიფოების დაიარაღებულათ ყოფნა გამოთხოვილია მხოლოთ მმართებლობათა ურთიერთ შუა კავშირითა და არა თვითონ ხალხების შუა დაუნდობელობით,—ჩვენ მოვიწვევთ მმართებლობას შეამოკლოს სამ-

ხელოს ბიუჯეტის ხარჯი და ქალდის დიპლომატიური გზით, რომ მისიას ყველა სახელმწიფოებში ჯარი.—

### ანგლია

დუბლინი, 24 ოქტომბერს. ლამერიკში მისაღებელი მიტინგს პრეზიდენტს მისწერა გლადსტონმა წერილი და გამოაცხადა, რომ მმართებლობას განზრახვა არა აქვს დატუსაღებული ფენიები განათავისუფლოს. ამასთან დაუმატებს, რომ ზოგი მიტინგი, რომელიც შეკრება ფენიების განთავისუფლების მეცადინეობისათვის, კანონიერი იყო და შესაძლებელი; სხვა მიტინგებში კი წარმოსთქვეს ფიცხი სიტყვები, რომლითაც ამარცხებოდნენ და აქეზებდნენ ფენიებს ყველა მოქმედებასა და ამასთანავე იმის ეძებდნენ ფენიების განთავისუფლებას არა როგორც მოწყალებას, არამედ როგორც მათ სამართლებს. არაფერი არ ამტკიცებს, რომ დაბრძანებულ კაცებს ხელი აელოთ თავიანთ განზრახვაზე. ფენიების შეთქმა ისევ ძველებურათა ვრცელდება ამერიკაში და ირლანდიაში; მეორეს მხრით, ზოგიერთი გაზეთები ეცდებიან ირლანდიაში გაიდიდონ უკმაყოფილება, რომლებიცა განაც შეიძლება მოხდეს პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა; ამ გვარ საქმის მდგომარეობაში, თავისის მომავლების აუმრუდებელ, როგორც დამცველი საზოგადოების შეურყეველობისა, მმართებლობა ერთ ჰქონდა ღონისძიებას წყალობს მისცეს და განათავისუფლოს დატუსაღებული ფენიები. წერილის დასასრულში მოხსენებულია, რომ პარლამენტი უეჭველათ ეცდება ყოველგვარ ღონისძიებას იხმაროს, რომ შეეერთოს სხვა და სხვა კლასსი ირლანდიის ხალხისა, მაგრამ ამასთანავე მმართებლობას ტვირთათ განზრახვა აქვს ყოველისავე ღონისძიებით დაიცვას კანონის ძალები და ერთობა ბრიტანის შეერთებულ სამეფოისა.

### იტალია.

ფლორენცია, 23 ოქტომბერს. ამბობენ, კაროლმა მოაწერა ხელი დეკრეტს, რომლითაც 16 ნოემბერს უნდა განახლდეს პარლამენტის სხდომები.—

## ტელეგრამები.

პარიჟი, 25 ოქტომბერს. ნაპოლეონი მოვიდა აქ დღეს. პარიჟში მყუდროება.

პარიჟი, 26 ოქტომბერს. დღეს საღამოს ნახევარში იმპერატორი დასეირნობდა ტიულრიის სასახლის ტერასაზე; 2,000 კაცამდი მოიყარეს სასახლის სიახლოვეს თავი და მხიარულეთ მიესალმნენ.—

### სამოსამართლო ქრონიკა.

პარასკევს, ოქტომბრის 24-ს, ტფილისის ოლქის სასამართლოში იყო პროცესი ქალი ევსინია ზარიათინსკისა, რომელსაც აბრალებდნენ თავისი ნაბიჭვრის მოკვლას დაბადებისა უმალვე. სხდომა დაიწყო დილის 11 საათზე და გათავდა საღამოს 10-ზე. საზოგადოებას ძალიან ჰსურდა ამ საქმის ყურება, მეტადრე იმიტომ, რომ აქ იყო გარეული ახალგაზრდა (18 წლისა ალბულადელი მცხოვრების შვილი) გამოუცდელი ქალი. მოწმებისა და ექსპერტების—მცოდნე კაცების (ექიმების) კითხვას სამი საათი მოუნდა. თავი საქმე ის იყო, რომ უნდა შეეტყოთ—ყმაწვილი ცოცხალი დაბადებული იყო და დახრჩობის გამო მოკვდა, თუ არა? პროკურორისა და ადვოკატის შუა ხანგრძლივი ბაასის შემდეგ სასამართლომ დასვა შემდეგი კითხვები: დამნაშავეა, თუ არა, ბრალდებული ცოცხალი ყმაწვილის მოკვლაში? დამნაშავეა, თუ არა, შობის შემდეგ მკვდარი ყმაწვილის დამალვაში? დამნაშავეს მოქმედება განზრახულებითი იყო, თუ არა?

ამ კითხვების გადაწყვეტილებისა დაგვარათ სასამართლომ იპოვა ქალი დამნაშავეთ უკანონოთ დაბადებული ცოცხალი ყმაწვილის მოკვლაში; მაგრამ მიიღო მხედველობაში შესამსუბუქებელი გარემოებაები და გარდაუწყვიტა იმას დასასჯელად სამი წლისა და ნახევრის განმავლობაში საპყრობილეში დამწყვდევა.—პროკურორიცა და ბრალდებულიც თანახმა გახდნენ ამ გარდაწყვეტილებისა.—

### სხვა და სხვა ამბავი

— 1868-ში პეტერბურგის მცხოვრებმა —შერმა ითხოვა ნების მიცემა პრაქტიკული სახელოსნოს გამართვაზე პეტერბურგში. ამ სახელოსნო სახლის აზრი ის არის, რომ ყველას, ვისაც კი ჰსურს, შეეძლოს სწავლა პრაქტიკულათ სხვა და სხვა ხელობაებისა, მაგ. დურგლობისა, ხარატობისა და სხვ. სახელოსნოში შეუძლიანთ იარონ და ისწავლონ სამსახურში მყოფებსაც და სხვა და სხვა სასწავლებლების შაგირდებსაც, რადგანაც ის ღია იქნება 2 საათიდგან 8 საათამდინ და ამასთან მარტო ოთხშაბათობით და შაბათობით. უფ. შერი, ამ სახელოსნო სახლის გამწყობელი, ამბობს, რომ რა წამს 15 კაცი შეიყრება მოსურნე, იმის ერთი თვის შემდეგ მაშინვე ვაეხსნი სახელოსნოსაო. რიცხვი მოსწავლეებისა შეიძლება 100 იყოს. რუსეთში ეს პირველი კერძო სახელოსნო სასწავლებელი იქნება; მართალია, ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში არის სხვა და სხვა სახელოსნოები, მაგრამ იქ მიხწევა ძალიან გაძნელებულია. ვისაც უნდა სახელოსნოში სიარული და სწავლა თვეში 1 თუმანი უნდა აძლიოს.—

ერთს რუსულს გაზეთში სახელად „ახალი დროება“ დაბეჭდილია ერთი შემთხვევა, რომელიც მომხდარა პეტერბურღში და რომელიც ამტკიცებს—როგორ უყურებენ ზოგი კაცები ქალების შრომას და მათს ცდას, რომ თვითონვე დაირჩინონ თავიანთი თავი. აი, ეს შემთხვევა:

„ამ მოკლე ხანში მოვიდა პეტერბურღში ერთი ახალგაზრდა განათლებული ქალი ვ. მასწავლებლობის ადგილის საშოვრათ და გამოაცხადა ამაზე გაზეთებში. რამდენიმე დღის შემდეგ ვ-თან მივიდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც უთხრა ქალს მასწავლებელს ვეძებო ერთი ახლათ ჩამოსული მებატონესთვის სახელ დ სტ. და სთხოვა სტ—თან წაყოლა ერთს სასტუმროში კანტრაქტის დასაწერათ. ახალგაზრდა ქალი, რომელმაც არ იცოდა ჯერ იმ სასტუმროს დანიშნულება, კმაყოფილებით წაჰყვა.—იქ დახვდა იმას მოხუცებული კაცი, რომელმანც დაუჯდინა კრესლოში და, ყმაწვილი კაცის წასვლის შემდეგ, უთხრა შემდეგი სიტყვები: „მე შვილები არა მყავს, რომ გამიზარდოთ; მაგრამ თქვენ ხომ ფულები გინდათ. მე შემიძლია მოგცეთ თქვენ რამდონიც გსურთ იმდონი, ძალიან ადვილი პირობით. ამას წინეთ გნახეთ მე თქვენ ქუჩაზე და ძალიან მომეწონეთ; მე შევიტყე თქვენი ადრესი და ახლა გაძლევთ ტკბილი ყოფნისა და სიმდიდრეში ცხოვრების საშუალებას. დარწმუნებული ვარ, უარს არ იტყვით ამაზე!“

მაგრამ სტ—ს ძალიან გაუკვირდა, როცა ვ-მა, არა თუ უარი უთხრა, სთხოვა კიდეცა, რომ გაჩერებულიყო და გაეთავებინა იმის შეურაცხყოფა.

— როგორ თუ შეურაცხყოფა! დაიყვირა თურმე უფ. სტ-მ, მე თქვენი სიკეთე მინდა და თქვენ შეურაცხყოფას ამბობთ? მაგრამ რა.... თუ ნებით არ გნებავთ დამეთანხმოთ ჩემს წინადადებაზე, მე ძალითაც შემიძლია.... ახალგაზრდა ქალმა უთხრა გაუპატიურებისთვის ვიჩივლებო, მაგრამ მოხუცებული მოარშიყე ამით არ შეშინდა და უთხრა, რომ ახლა თქვენ ჩემ ხელში ხართო.—საზიზღარი სცენის შემდეგ ახალგაზრდა ქალმა, როგორც იყო, დაიხსნა თავი ამ განსაცდელისაგან და გაიქცა შინისაკენ.—ამბობენ, რომ ქალს შეუტყვია ნამდვილი ვინაობა ამ მოხუცებული მოარშიყესა, (რომელიც არის თურმე ერთი მდიდარი და ცოლშვილიანი ვაჭარი) და ჩივილსაც აპირებსო“. „პეტერბ. უწყებაები“, რომელშიაც გადაბეჭდილია ეს ამბავი, ამბობს: „ძალიან სამწუხარო იქნება, რომ ამ ქალმა არ უჩივლოს თავის შეურაცხმყოფელს; ამ ნაირი საქმეების გამჟღავნებით, უეჭველია, ცოტას მაინც დასცხრებიან ეს ზნეობის შემგინებელნი პირები“.—

### მწერლისადმი.

ვინც უნდა იყო, მწერალო ჩემო,
მიყვარს მე შენი გამოთქმა გულის;
შენა გაქვს გრძნობა, შენა გაქვს გემო
ერთობის, ძმობის და სიყვარულის!

—

არ ველი შენგან, ჩემო კეთილო,
ბედკრულის კარზე რომ ჩაიარო,
ის ნახო ყელვთოთ შენ დაჩაგრული,
და შეუპოვრათ არ ალიარო.

—

გიყვარს სიმართლე, გიყვარს კეთილი,
მტერი ხარ მარად ფარისევლობის;
შენ ხარ მონატრე, შენ ხარ მსურველი
შენი სამშობლოს კეთილ დღეობის.

—

მაგრამ ეს მიკვირს, ჩემო მწერალო!
რომ შენი ბედი სხვის ბედს არა ჰგავს;
გხედავთ—კარგი ხარ, გხედავთ—უმანკოს,
მაგრამ თან მგრძნობი მაინც ცოტა გყავს.

—

ნაცვლად მისა, რომ შენ პატივი გცენ,
მოგელის შური, ლანძღვა და თრევა!
არ გზოგვენ, ძმაო, მოგკლან და დაგწვენ,
ვინც რომ კი შესძლებს და მოგერევა.

—

რა გაეწყობა? ისევ გამაგრდი!
გასწი, განაღე სიმართლის კარი.
დაე, ნუ დასდევ, ნუ გენაღვლება,
თუ მოგიძულებს შენ წინაპარი.

—

ეს კი იცოდე, რომ გრძნობიერათ
მოძმებსა შენსა რაც კი უთხარი,
ის დაურჩებათ იმათ სახსოვრათ
და ის იქნება დაუვიწყარი....

—

გ. ჭალადიდელი

ქუთაისი.
1869 წ.

### სავაჭრო ცნობები.

ზაკარის ხეობაზე აჭარ. ახალციხის ქედსა და ჭერშევათის შუა ოც ნახევარი ვერსის სივრცეზე, აგრეთვე აბას-თუმნის მეორე ხიდიდან აბას-თუმნამდინ უნდა გაკეთდეს გზა. ამ გზის გაკეთებაზე იჯარით დანიშნულია ვაჭრობა 13 ნოემბერს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში.—ვაჭრობაში გარევის მსურველს შეუძლია ნახოს კონდიციები (პირობაები) გუბერნიის სამმართველოში ყოველ-დღე, უქმებს გარდა, 9 საათიდან ვიდრე 2—მდი.—

### კერძოობითი განცხადება.

მოსკოვის პირველი გილდიის ვაჭარი ნ. ი. ძე კორესჩენკო, რომლის ჩაისა ხმარობს თვითონ მისი იმპერატორებითის უმაღლესობა მიხაილ ნიკოლაევიჩი, უცხადებს თბილისის საზოგადოებას, რომ იმის ფირმის ჩაი ისყიდება თბილისში საპატიო მოქალაქე იაკობ აველის ბაბანასოვის მაღაზიაში იაფათ და იმავე ღირსებაებისა, როგორიც მოსკოვში.

ნ. კორესჩენკო.

### ისყიდება იაფათ

ახალგაზრდა, კოხტა, თავმომწონე იორღა ცხენი. მსურველს შეუძლია იკითხოს პაკეთის მებატონეების სარდაფში იარმუკაზე.

## განცხადება.

„სასოფლო გაზეთის“ გამოცემაზე
1870 წელში.

მომავალს 1870 წელს „სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა იმავე პროგრამმით, როგორითაც ამ წელს გამოიცემოდა. ამას გარდა სასოფლო გაზეთში იქნება დაბეჭდილი სურათები საოჯახო ცხოველ-მცენარეებისა.

### ხელმოსაწერი ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში ერთი წლისა ოთხი მანეთი; გაუგზავნელათ სამი მანეთი

სასოფლო სასამართლოებისათვის ტფილისის გუბერნიაში გაგზავნით სამი მანეთი, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში ოთხი მანეთი. ნახევარი წლისა გაგზავნით ორი მანეთი; გაუგზავნელათ ერთი მანეთი და ათი შაური, ერთი ნომერი ორი შაური.

„სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ შაფათობით.

### ხელი მოიწერება.

ტფილისში „დროებისა“ და “სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით;

Въ Тифлисъ. Въ Контору Редакціи „Сельск. Газеты“ при Типографіи Меликова. и К.

რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30-го Октября, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.